ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა
ციფრულ ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 59. კვირა, 15 მარტი 1909 წ. დამატების № 11.

სახიფათო სიყვარული

ისტორიული მოთხრობა

(შემდეგი *)

33

ქალის ძებნა მტკვრის გაღმაც უნაყოფოდ ჩაივლიდა და ფარნაოზი ვერ მისწვდებოდა საწადელს, თუ შემთხვევა არ შეეშველებდა მას.

ქალი რომ დაიკარგა, იმ ხანებში ხომ თავი იჩინა მეფის წინააღმდეგ შეთქმულებამ. შეთქმულთ არ გაუმარჯვდათ: იორამ საკაძემ ანაზდად გაანადგურა იმათი ძალა, შეიპყრო მეთაურნი და მიჰგვარა მეფეს. ყაფლან არსიანელიც ხომ სწორედ მაშინ დააპატიმრეს.

ეგნატე ნინოშვილი

(მისი ძეგლის აგების გამო).

ხმა გავარდა, სასტიკი სასჯელი მოელის შეთქმულებსო, იმათ ვეღარავინ ვერ დაიხსნის სიკვდილისაგანაო; ყაფლან არსიანელსაც აღარ დაინდობენ, გასწირავენო. ამ ხმამ ფარნაოზამდისაც მიაღწია. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკი ცოტათი გამოფხიზლდა თავის სევდისაგან და ჩაბრუნდა თბილისში, იქნება როგორმე მოვარხეერხო აღმზრდელის ან დახსნა, ან სასჯელის შემსუბუქებაო.

მართლა და სასტიკად დასაჯეს მოღალატეები: გიორგი გოჩაშვილს თვალები დასთხარეს, ქათალიკოზ ევდემოზ დიასამიძეს განჯის კარიდან გადმომზღვრევა მიუსაჯეს, სხვებიც ყველანი ძალიან დააზარალეს. ყაფლანის დასჯა კი ჯერ გადასდეს, რადგან არა სჩანდა, რომ ისიც შეთქმულთა ჯგუფში ერია.

სასჯელის წინ ევდემოზ ქათალიკოზმა უეცრად მოითხოვა, ნება მიეცათ მისთვის პირისპირ ენახა ყაფლან არსიანელი. გაუკვირდათ ევდემოზის ესეთი სახიფათო სურვილი.

—უნდა მოესაზრებინა საბრალოს, რომ მისი სურვილი ეხლა დიდად სავნებელია ყაფლანისათვის, რადგან დაამტკიცებს, რომ მათ შორის საიდუმლო რამე ამბავი ყოფილა და შეთქმულებაში მასაც მონაწილეობა მიუღია,—ამბობდნენ ყველანი.

სწორედ ასეც იმოქმედა ამ ამბავმა მეფის მახლობლებზე: მათ მოითხოვეს ყაფლანის დასჯაც. მეფე არ დასთანხმდა, არსიანელის ლალატში მონაწილეობა გამორკვეული არ არისო და ევდემოზსაც ნება მისცა პირისპირ ენახა ყაფლანი. ქათალიკოზმა ინახულა პატიმარი და მძიმე ცოდვა აღიარა მისწინ:





რუსეთის გამოჩენილი მწერალი ნ. ვ. გოგოლი

20 მარტს ასი წელიწადი სრულდება, რაც გოგოლი დაიბადა.

— შეთქმულებს გვინდოდა სასახლეშიც გვეპოვნა ძლიერი თანამოაზრე და თანამგრძნობელი. ამ მიზნით მე და გოჩაშვილი დაუახლოვდით დედოფალს. დედოფალი დიდად უკმაყოფილო იყო მეფისა და მოსისხლე მტერი მეფის მახლობელთა. მეტადრე იორამ საკაძე სძულდა, რადგან მათ განიზრახეს მეფის განქორწინება და შენი ქალის მოყვანა დედოფლად.

*) იხ. დამატება № 10.



პროფესორი ნიკოლოზ მარრი

პრ. მარრი ეხლა სამეცნიერო აკადემიის წევრად აირჩიეს.

დედოფალი ჯერ მოგვყვა, ჩაგვითრია, გამოგვტყუა საიდუმლო და მერე საშინელი მსხვერპლი მოგვთხოვა: დაგვავალა მოგვესპო თქვენი ქალი და სამუდამოდ მოგვეშორებინა მისთვის მეტოქე.

— მერე? მოჰკალით ჩემი ქალი, მოჰკალით?!—ჩაეკითხა ათრთოლებულის ხმით ყაფლანი.

— არა! გვიბრძანა ქალის მოკვლა და თან ცხადად გვაგრძნობინა, რომ უარი მრისხანებას გამოიწვევდა მის მხრივ და შურისძიებას. საშიში იყო: გაგვცემდა, დაგვღუპავდა, ჩვენ დაწყებულებას ჩაშლიდა. სულ კი გოჩაშვილის საქმე იყო ამეების დაწყება და საიდუმლოს გაცემა. ღმერთმა აპატიოს! მეტი რაღა გზა იყო? გავებით მის მახეში და უნდა აგვესრულებინა მისი ბრძანება.

— და აღასრულეთ უკეთური განძრახვა თქვენი?!

— მომისმინე, შვილო ყაფლან, მომისმინე! კაცის კვლას ხომ ვერ ვიტვირთებდი და ვერ შევბღალავდი უმანკო სისხლით ამ მარჯვენას, რომლითაც ტარიგსა ვწირავდი წმიდა ტრაპეზზე! სხვა ხერხი მოვიგონე: ვუბრძანე ჩემს საყვარელ ძმისწულ სარიდონს გაეტაცნა ის ქალი და დაემალნა ისე, რომ ვერვის შესძლებოდა მისი ამბის გაგება. ვამცნე, რომ ამ საიდუმლოს შენახვაზე იყო დამოკიდებული თვით ჩემი სიცოცხლე. ამხანაგად ვაახელ დიდად გამოცდილი და ერთგული ჩემი ყმა. ძალიან მოხერხებულად შეესრულებინათ ჩემი დავალება.

— მაშ ისევ ცოცხალია ჩემი ქალი?!

— ჩემის აზრით ცოცხალი უნდა იყოს. სარიდონი ალბად თავის სახლში მიიყვანდა მას, ერწოში, მდინარე აძეძის მარჯვნივ, სოფელ გვირაბიანში. ეს მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის, ბატონო ყაფლან, და მეთხოვნა გეპატიებინათ ჩემთვის საშინელი შეცოდება ჩემი, — დაათავა ევდემოზმა და მიწამდის თავი მოუხარა ყაფლანს.

— ყოველივე შეუნდოთ ერთმანეთს, რადგან მალე უნდა წარვსდგეთ წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა!— მიუგო ყაფლანმა და ეამბორა ქათალიკოზს.

დიდი ცნობის-მოყვარეობა აღძრა ამ საიდუმლოებით მოცულმა ნახვამ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ათასგვარ მოსაზრებას მოუთხრობდნენ ამ შეხვედრის შესახებ; ცდილობდნენ გამოეცნოთ საიდუმლო საუბრის საგანი. ბოლოს ყველანი იმ აზრს დაადგნენ, ძნელი რამ გაანდო ყაფლანს შეთქმულობის შესახებო.

როდესაც ფარნაოზმა გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გულმა უგრძნო, რომ საქმე უნდა შეჰხებოდა პირად ყაფლანს ან მის ოჯახს, რადგან იცოდა, რომ ყაფლანს არავითარი დამოკიდებლობა არა ჰქონდა შეთქმულებთან.

— იქნება ტასიკოს დაკარგვის ამბავს შეეხებოდა იმათი უკანასკნელი საუბარი,—გაიფიქრა ფარნაოზმა.

რახან ერთხელ გულმა ესე უთხრა ფარნაოზს, მისმა აზრებმაც ესეთივე მიმართულება მიიღეს და ათასი იმედი დაუხატა გახურებულმა ოცნებამ. როცა ფარნაოზმა თვისი მოსაზრება გადასცა თევდორეს, რომელიც, ბატონის დასჯის მომლოდნელი, ქალაქშივე იყო, იმანაც ჭკუას ახლო სცნო ეს მოსაზრება.

ეხლა საჭირო იყო როგორმე ენახათ ყაფლანი ან თევდორეს ან ფარნაოზს, მაგრამ თევდორეს ნება არ მისცეს ბატონის ნახვისა, ხოლო ფარნაოზს ურჩიეს ნაცნობებმა, არამც და არამც არ გაეცხადებინა თავისი თავი, რადგან იმასაც ღალატს დასწამებდნენ არსიანელივით და საპყრობილეში ჩააგდებდნენ.

ფარნაოზი მაინც ვერა სცხრებოდა. ის გაიტაცა ყაფლანის ნახვის სურვილმა და სცდილობდა როგორმე მოეხერხებინა ეს.

34

როსტომ მეფემ როცა ახალი სამეფო პალატები ააშენა ტფილისში, ძველ საძირკველზე ამოიყვანა შენობა, მხოლოდ გაამაგრა ეს საძირკველი, გააფართოვა და წაუმატა ქვეით მტკვრის ჩაყოლებით. არც საჭირო იყო ახალ საფუძვლის ამოყვანა: აქ სალი კლდეა მტკვრის ნაპირას და ამ კლდეში იყო ძველი საძირკველი გაჭრილი. დულაბია ჩასხმული და ისეთი შეურყეველი რამ კედელია ამოყვანილი, რომ მისთვის დღევანდლამდისაც ვერ დაურევია ხელი ვერც მძვინვარე მტკვარს, ვერც ჟამთა ბრუნვას. რომ მაინც უკეთ დაეცვათ მდინარისაგან შენობა, რამდენიმე ბურჯი წასწიეს წინ. ეს ბურჯები დღესაც სდგას და მედგარ წინააღმდეგობას უწევს მდინარეს.

ეს საძირკველი ძირში ბითუმი იყო, ხოლო ზევით წვრილ-წვრილი სარდაფები ჰქონდა დატანებული, მთლად თაღად ნაქცევნი. ამ სარდაფების ძლიერ ვიწრო და მაღალი ფანჯრები მტკვარს ესე ორი ადლის სიმაღლიდან დაჰყურებდა. ფანჯრებს შუაზე ბოჯღლიანი რკინა ასდევდა. ეს ფანჯრები და თითონ ჯურღმულები უფრო საქარეებსა ჰგვანდა, ჰაერის სამუშაოთ დატანებულებს. ადიდებული მტკვარი ხანდისხან უწევდა ამ ფანჯრებს და ჯურღმულებს, მაგრამ რას დააკლებდა ქვაზედ უმაგრეს კედლებს! ზევიდან ქვის ვიწრო ხვეული კიბე ჩასდევდა ამ სარდაფებამდის.

სარდარ-ფახმაზი,

რეშტის გუბერნატორი, რომელიც სპარსელმა რევოლიუციონერებმა ქალაქის აღების დროს მოჰკლეს ამ თვე ნახევრის წინად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეტლი, რომელსაც ბავშვები მიჰყავს სკოლაში (საფრანგეთში)

ამ ჯურღმულების ზევით იყო გამწკრივებული თაღიანი-ვე ფართო და ნათელი სარდაფები, რომლებიც შეადგენდნენ სასახლის საკუჭნაოს და სავსე იყვნენ ყოველივე კეთილით-

ამ სარდაფების ზევით იდგნენ თვით პალატები მეფისა.

მარჯვნივ და მარცხნივ მდინარის პირს გასდევდა სასახ. ლის წალკოტი, ანჩისხატიდან ავლაბრის ხიდამდის. მთელ ამ წალკოტის სიგრძეზე მტკვრის პირ-პირ ჩასდევდა დულაბითვე ამოყვანილი კედელი და იმის დაყოლებით ადგილ-ადგილ წარ დგმული ბურჯები.

როსტომს ძალიან უყვარდა ამ წალკოტში განცხრომა. შეექცეოდა ხოლმე ყავას თუ ყალიონს თალარის ქვეშ.

ყაფლანი რომ შეიპყრეს, უნდოდათ სხვა მოღალატეებთან ერთად ისიც ნარიყალაში დაეპატიმრებინათ, მაგრამ მეფემ არ ისურვა ეს და უბრძანა ჩაეგდოთ ჯურღმულში სასახლის ქვეშ. იქნება იმ აზრითაც იყო დატანებული ეს ჯურღმულები, რომ საჭირო შემთხვევაში საპყრობილედაც გამომდგარიყვნენ. ამგვარად ერთი ამ საკანთაგანი შეიქმნა ყაფლან არსიანელის საპყრობილედ.

რა აზრი ჰქონდა როსტომ მეფეს, რა ფიქრი უთამაშებდა თავში, როდესაც დაიფარა სიკვდილისაგან ეს კაცი და სასახლის ქვეშ დააპატიმრა? იქნება ეგონა, თითონ ყაფლანმა გადაამალვინა თავისი ქალიო და იმედი ჰქონდა გამოუტყდებოდა მეფეს, რომელმაც დიდი წყალობა მოიღო მასზე და სიკვდილიდან დაიხსნა. ამით ხომ არსიანელი მადლობასაც გადუხდიდა მეფეს და დამხობილ დიდებასაც კვლავ აღიდგენდა. ვინ იცის, სიყვარულით შეპყრობილი გული ძნელად ეძლევა სრულ უიმედობას, ვერ ცივდება სრულიად ერთხელ გრძნობით აღგზნებული და მასში ძირიანად არ იფხვრება სატრფოსადმი ლტოლვილება.

მოსწყდა ყაფლანი ქვეყანას, სოფლის ხმაურობა აღარ აღწევდა მის ნესტიან და ბნელ საკანს. მხოლოდ მტკვარი ჩაჰხრიალებდა ყურში, ამბებს მოუთხრობდა. მაგრამ მტკვრის საუბარი ჯერ სულ უცხო იყო ყაფლანისთვის, ვერ შეეგნო იგი საუბარი და მხოლოდ ბეზარს მოჰყვანდა პატიმარი მის განუწყვეტელ ჩახრიალს, ან შიშის ზარსა სცემდა უკუნეთ ღამეში.

არ ეცალა პატიმარს ყურადღებით ესმინა მტკვრის თხრობები და შეეგნო მისი ნათქვამი. ყველაფერი დაჰვიწყებოდა ეხლა ყაფლანს, თავისი პატიმრობაც კი, და მხოლოდ ერთ აზრს შეეპყრო მისი გონება, ერთ გრძნობას გაემსჭვალა მისი გული, ერთ ნდომას დაეჩრდილა ყველა მისი მისწრაფება: მისი ყურადღება მიქცეული იყო მხოლოდ დაკარგულ ქალზე, მისი ერთად ერთი სურვილი იყო გაეგებინებინა ვინმე ერთგულისათვის ის საიდუმლო, რომელიც უთხრა მას ევდემოზმა; თორემ დაიკარგებოდა ის კვალი, რომლითაც მხოლოდ შესაძლო იყო მიეგნოთ დაკარგულის ბინა. ეს სურვილი ცეცხლის ასოებით აღებეჭდა პატიმრის გახურებულ ტვინს.

ვისთვის უნდა გადაეცა ეს თავისი საიდუმლო ან როგორ? ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო ფარნაოზი; მხოლოდ იმისთვის შეიძლებოდა ეთქვა სათქმელი, მხოლოდ მას შეეძლო ქალის მიკვლევა და დახსნა, მხოლოდ მას შეეძლო სიხარულით აესრულებინა ეს და თავი დაედო მისთვის. მაგრამ სად იყო ეხლა ფარნაოზი?

„იქნება კიდეც დაიღუპა იქ, სადაც იყო გაგზავნილი. იქნება მასაც ცილი დასწამეს, მოღალატე ხარო და დააპატიმრეს. იქნება თავიც მოიკლა, როდესაც გაიგო ტასიკოს დაღუპვის ამბავი. ხომ უყვარდა ჩემი ქალი, იქნება დადის უგზო-უკლოდ და უიმედოდ დაეძებს დაკარგულს. არ ვიცი! ვინ რას მეტყვის ცოცხლივ დამარხულს..... თუნდაც ცოცხალი იყოს ფარნაოზი და ახლოც, როგორ გადავცემ ჩემ საიდუმლოს? ჩემთან ხომ არავის უშვებენ, არც ნებას მაძლევენ წიგნი მივწერო ვისმე. თუნდაც მომცენ ნება, განა შეიძლება ვანდო ქაღალდს საიდუმლო? როსტომს რომ ჩაუვარდეს ხელში წერილი, ხომ აპოვნინებს ქალს და შეურაცხყოფს,—ფიქრობდა პატიმარი [illegible] ჩრუნავდა მოუსვენრად. — სწორედ ტვინს შევანთხევ ამ [illegible] ლ კედლებს, თუ არ მეშინოდეს, რომ საფლავში ჩამყვება საიდუმლო და სამუდამოდ დამეღუპება ქალი! ტასიკო ჩემო! იქნება აღარც კი ხარ ცოცხალი, იქნება მიწას ამოჰფარებიხარ შავს... იქნება არსებობ სადმე მანდილ მოხდილი, შეურაცხყოფილი.... ყაფლან არსიანელის ქალი შეგინებული?! სიკვდილი გირჩევნია, სიკვდილი! მაინც უთუოდ თავს მოიკლავდი. ახ, მითხარ, გამაგონე, შვილო საყვარელო, ცოცხალი გიგულო სადმე გაჭირვებული თუ მკვდარი? ნიავს დაბარე ამბავი შენი: ის შემომიტანს მე სარკმლიდან; უთხარ მზის სხივს, უამბე: ის შემომიშუქებს დილით და მომით-



ახალი იარაღი ხარების ურემში შესაბმელად

ციფრების ახსნა: 1—რკინის საშუბლე რეზინით ან რბილი ტყავით. 2—ყელის ხამუთის მსგავსი ქამარი დიშლაზე მისაბმელად. 3—შუა მოსართავი შესაბმელ ჯაჭვის და ოჟების დასაჭერად. 4—შესაბმელი ჯაჭვი ან თავი. 5—ოჟები. 6—დიშლის ჯაჭვი.



წვერ-ულვაშიანი ქალი ტატიანა გრიგორიევნა,

ვორონეჟის გუბერნიის მცხოვრები, 29 წლისა. წვერი ამოუვიდა გათხოვების შემდეგ, როდესაც 20 წლისა შესრულდა.

ხრობს შენს გასაჭირს; ცრემლად ჩააწვეთე დარდი შენი მდინარეს — ის მომიტანს აქ, მიამბობს".

მაგრამ არც მზის სხივს შეჰქონდა მასთან ტასიკოს ამბავი, არც დილის ნიავს, არც მტკვარი მოუთხრობდა რასმე ტასიკოზე. იყო ყაფლანი მიჯაჭული, უიმედო, სევდიანი, საპყარი.

უბედურებამ დაჰქროლა არსიანელის ბედნიერ ოჯახს, გაანიავა და გაჰფანტა იგი; სევდის ისრით გაუგმირა გული თვითეულ წევრს ოჯახისას.

ვინ იცის, კიდევ მოიწმინდება მათთვის ცა ლაჟვარდი, კიდევ ამოვა მათთვის ბრწყინვილე მზე სიხარულისა, თუ მოისპო მათთვის კეთილი და უნდა აღიგაონ პირისაგან ქვეყანისა?

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

ახალი იარაღი ხარების ურემში შესაბმელად

ბევრ კარგ გამოგონებასთან საზღვარ-გარედ საქონლის უფრო მოხერხებული შებმაც გამოუგონიათ. კისრის მაგივრად საზღვარ-გარედ საქონელს ურემს შუბლით აწევინებენ. ზემოაღნიშნული სურათი ნათელ ჰყოფს იქაურ შესაბმელ იარაღს და მორთულობას. თუმცა ასეთი შებმა, როგორც იწერება გერმანიაში მოსწავლე სტუდენტი, ჩვენ ხის უღელთან შედარებით ძვირადღირებაა, მაგრამ შედეგთი და გამწეობა საქონელს იმდენად ემატება, რომ ეს სიძვირე შესაბმელ იარაღისა ანგარიშში ჩასაგდები არ არის (უღელ ხარის იარაღი დირს 20 მანეთად, საუკეთესო მასალისაგან გაკეთებული—25 მან.). გამოკვლეულია, ასეთი შებმა საქონელს მუშაობაში ჭმატებს 30%-ს გამწეობის ძალას.

ჩვენებურ ორ-თვალა ურემს ასეთი იარაღი ვერ მიუდგება. ამ იარაღისთვის უსათუოდ საჭიროა ოთხ თვალა ურემი ან ფურგული, რასაც მანგალისის და ქიზიყის ქართველების ცხოვრებაში თითქმის მოუკიდებია კიდეც ფეხი.

საჭიროა ახალ მხოლოდ ცდა და ხალხის დარწმუნება ამნაირ შებმის უპირატესობაში. სამეურნეო საზოგადოებამ ან წინამძღვარიანთ სკოლამ რომ შეიძინონ სანიმუშოდ ეს შესაბმელი იარაღი და სცადონ, იქნება სასარგებლო წასაბაძი მაგალითი უჩვენონ ჩვენს გლეხობას, რომელსაც საქონელი გაჭირვებისა და უსახსრობისაგან ისე გალაუგვარდა, რომ უღელ ხარს ძლივს ჩამოაქვს ქალაქში ოცი, ოცდაათი დერი წვივის სისქე შეშა. თუ ამაზე მძიმე ბარგის წალებ-წამოღება დაგჭირდათ, თქვენი მტერი, ჩვენ ტალახიან და სოფლობ გზების გალამკიდე, უსათუოდ უნდა აჩინჩხლოთ ეგვარი, სამ უღელი და ხანდახან ოთხ უღელი ხარ-კამეჩიც. ვისაც საკუთარი ჭეავს, კიდევ კარგი, ვისაც არა ჭეავს, უნებლიედ უნდა გადაბას მეზობლის საქონელთან და მცირე რალაც ქირა შეაზე გაუყოს.

მაზრელი.

ბავშვების სკოლაში წაყვანა საფრანგეთში

საფრანგეთში მშობლები მოვალენი არიან ყველა თავიანთ ბავშვები, ვაჟი თუ ქალი, სკოლაში ატარონ, წინასწმდეგ შემთხვევაში ისინი ისჯებიან კანონის ძალით. ზოგან-კი, მეტადრე ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც გძელი და სუსხიანი ზამთარი იცის, დიდი თოვლი ძევს ხოლმე გზებზე, ცივი ქარი ჭქრის და ჯახეი ჭეარავს მზესა, იმ მშობლებს, რომელნიც შორსა სდგანან სკოლიდან, ძალიერ უჭირდებათ თავიანთ მოვალეობის შესრულება. ამიტომ მთავრობამ მოაწყო სახელმწიფო ეტლები, რომლებიც ყოველ დილას დაივლიან ხოლმე სკოლას დაშორებულ სოფლებს, იქაური ბავშვები მიჭეავთ სკოლაში და სწავლის შემდეგ ისევ თავ-თავიანთ სახლებში აბრუნებენ.



მოწაფის ექსპროპრიაცია

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.